- პოლიციას არ აქვს უფლება ეძებოს ადამიანები სხვა ოთახებში, სადაც ისინი არ ცხოვრობენ!
- აცნობეთ სხვებს დეპორტაციებისა და პოლიციის ქცევის შესახებ!
- გთხოვთ, ასევე შეატყობინოთ საქსონის ლტოლვილთა საბჭოს დეპორტაციის მონიტორინგის განყოფილებას: *www.saechsischer-fluechtlingsrat.de/de/abschiebemonitoring/*

bringbackourneighbours.de

Impressum
Herausgeber: Kontaktgruppe Asyl und Abschiebehaft e.V.
Heinrich-Zille-Str. 6
01219 Dresden

[Georgisch]

პოლიცია

Polizei

BRING BACK OUR NEIGHBOURS
საქსონიის დეპორტაციის პოლიტიკის წინააღმდეგ

პოლიციაპასუხისმგებელიადეპორტაციაზე. მათმიყავთ ის ადამიანები სახლებიდან ან ბანაკებიდან, რომლებიც უნდა დადეპორტდნენ. ისინი შეიძლება მოვიდნენ დღის ნებისმიერ დროს, ჩვეულებრივ, დილით ადრე. ამ შემთხვევაში დეპორტაციის თავიდან აცილება ჩვეულებრივ აღარ შეიძლება. ამიტომ მნიშვნელოვანია იმოქმედოთ ადრე და განახორციელოთ ყველა შესაბამისი ღონისძიება დარჩენის უფლების მოსაპოვებლად და არ დაელოდოთ Duldung-ს. გადაუდებელ ბუკლეტში დეპორტაციის წინააღმდეგ ("Notfallkoffer gegen Abschiebung") ჩვენ გთავაზობთ უფრო დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა შეგიძლიათ გააკეთოთ დეპორტაციის წინააღმდეგ: bbonlink.de/nofallkoffer-betr-geo

პოლიცია ბინის კარებთან?

სიმშვიდე შეინარჩუნეთ ! თუ ის ადამიანი ხართ ვინც უნდა დაადეპორტონ არ გააღოთ კარი !
და თუ თქვენ არ ხართ ის პირი ვისი დადეპორტებაც მათ აქვს განზრახული :

- არ გააღო კარი. შეეცადეთ ესაუბროთ მათ სპიკერის საშუალებით.
- აცნობეთ მეგობრებს/თქვენს ადვოკატს.
- ჰკითხეთ, აქვთ თუ არა ორდერი.
- თუ არ აქვთ, არ უნდა შემოვიდნენ ბინაში. უთხარი ეს!
- ისინი მაინც შეეცდებიან შემოსვლას. ისინი გეტყვიან, რომ უბრალოდ "შემოვლენ" [umsehen, betreten] და ,,არ შეეხებიან'' [durchsuchen] თქვენს პირად ნივთებს.
- თუ ისინი დაჟინებით მოითხოვენ, რომ ბინაში შესვლა კანონიერია, მაშინ ისინი ნახევრად მართლები არიან.. შეუშვით ისინი, მაგრამ გამოხატეთ სიტყვიერი საჩივარი "პროტესტი" [Widerspruch]
- თუ თქვენ ცხოვრობთ საერთო ბინაში , დახურეთ ოთახის კარები. პოლიციას არ აქვს შემოსვლის უფლება!

რა უნდა გაკეთდეს შემდეგ?

- დაწერე რა მოხდა. გააკეთეთ ეს რაც შეიძლება სწრაფად და დეტალურად.
- გთხოვთ, ასევე შეატყობინოთ საქსონის ლტოლვილთა საბჭოს დეპორტაციის მონიტორინგის განყოფილებას: *www.saechsischer-fluechtlingsrat.de/de/abschiebemonitoring/*
- ესაუბრეთ ადვოკატს ან დახმარების ცენტრს სამართლებრივი პროცედურების შესახებ. განსხვავება „ბინაში შესვლასა“ [Betreten] და „ჩხრეკვას“ [Durchsuchen] შორის კარგად არ არის განხილული გერმანიის სასამართლოების მიერ. არის შანსი, რომ კომპენსაცია მოგცეთ და... თქვენ შეძლებთ ხელი შეუშალოთ პოლიციას სხვა ბინებში უკანონო შესვლაში.

პოლიცია ბანაკში (ლაგერში)?

მომზადება მნიშვნელოვანია!

- გაარკვიეთ, ვინ მიიღო BAMF-ისგან უარყოფითი გადაწყვეტილება და ვის ემუქრება დეპორტაცია.
- სად არის ბანაკში კარგი დასამალი ადგილები, რომლებზეც შესაძლებელია სწრაფად მოხვედრა?
- რომელი სოციალური მუშაკები არიან კარგი და შეუძლიათ მხარი დაგიჭირონ? ესაუბრეთ მათ!
- თვალი ადევნეთ დეპორტაციის თარიღებს. ამით გაიგებთ, როდის შეიძლება პოლიცია შევიდეს ბანაკში. ინფორმაცია მაგალითად -Twitter-ზე, Instagram-ზე: @Deport_Alarm ან Telegram-ზე: *t.me/deportation_alarm*
- თუ პოლიცია შედის ბანაკში, ისინი უნდა დაიმალონ, ვისაც დეპორტაცია ემუქრება.